პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ იანვარი, 2025 წ.

ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის 3-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.32.09.335) განახორციელა ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლება.

დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულებულია პროექტის შესაბამისად და შესაძლებელია ავარიული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეებს გადაეცეთ მათსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სანაცვლო ფართები. ამასთანავე, ხსენებულ მისამართზე მოქალაქე ა.ა-ს ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნდა 73,4 კვმ ავარიული საცხოვრებელი ფართი (ბინა №6). მოქალაქე ა.ა-ს მფლობელობაში არსებულ ბინის საკუთრებაზე ან/და სარგებლობაზე რაიმე სახის პრეტენზია მესამე პირებს არ გააჩნიათ, რაც დასტურდება ამავე საცხოვრებელ სახლში რეგისტრირებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2022 წლის 6 დეკემბრის №14 კრების ოქმით. შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის 3-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.32.09.335) ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების ღონისძიების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, საჭიროა ავარიული საცხოვრებელი სახლის ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში მოქალაქე ა.ა-ს გადაეცეს სანაცვლო ფართი 74,35 კვმ-ის ოდენობით (ბინა №9).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 56-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა №9 (74,35 კვმ) სანაცვლო ქონების სახით გადაეცეს მოქალაქე ა.ა-ს.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულების შესაბამისად ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის 3-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.32.09.335) განახორციელა ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლება.

დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულებულია პროექტის შესაბამისად და შესაძლებელია ავარიული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეებს გადაეცეთ მათსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სანაცვლო ფართები. ამასთანავე, ხსენებულ მისამართზე მოქალაქე ა.ა-ს ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნდა 73,4 კვ.მ. ავარიული საცხოვრებელი ფართი (ბინა №6). მოქალაქე ა.ა-ს მფლობელობაში არსებულ ბინის საკუთრებაზე ანდა სარგებლობაზე რაიმე სახის პრეტენზია მესამე პირებს არ გააჩნიათ, რაც დასტურდება ამავე საცხოვრებელ სახლში რეგისტრირებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2022 წლის 6 დეკემბრის №14 კრების ოქმით. შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის 3-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.32.09.335) ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების ღონისძიების სრულყოფილად განახორციელების მიზნით, საჭიროა ავარიული საცხოვრებელი სახლის ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში მოქალაქე ა.ა-ს გადაეცეს სანაცვლო ფართი 74,35 კვ.მ.-ის ოდენობით (ბინა №9).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემა

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე